საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გუდავა

გუდავა, სოფელი გალის მუნიციპალიტეტის აჩიგვარის თემში (აფხაზეთის არ), სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ოქუმის (ერთვის შავ ზღვას) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 20 მ, გალიდან 12 კმ, აჩიგვარიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 3 კმ] . 933 მცხ. (1989). ისტ. სოფელი გ. მოიცავდა ახლანდ. სოფლების: პირველი გუდავის, მეორე გუდავისა და საკუთრივ გ-ის ტერიტორიებს. სოფლის თავდაპირველი სახელწ. იყო გუდაყვა, რ-იც გვიანდ. ფეოდ. ხანაში გ-თი შეიცვალა, ხალხ. მეტყველებაში გეოგრ. სახელი გუდა ეწოდებოდა. ამ სახელწოდებით არის დატანილი არქანჯელო ლამბერტის (1654) რუკაზე. გ-ს გვიანდ. ანტ. ხანასა და ადრინდ. შუა საუკუნეებში ზიგანისი ეწოდებოდა, ხოლო ბიზანტ. წყაროებში ზიგანეოსის სახელით არის მოხსენიებული. წერილობით წყაროებში მოხსენიებულია ზიგანისის ციხე, რ-შიც IV–V სს. მიჯნაზე რომაელთა კოჰორტა (400–600-კაციანი რაზმი) მდგარა. არქეოლ. გათხრების შედეგად აღმოჩენილია ბანაკ-ციხის ნაშთები (1970–72, პ. ზაქარაია). გამოვლინდა გეგმით მართკუთხა ფორმის ბანაკის გალავნისა და მცირე ეკლესიის ნაშთები, აგრეთვე რომაული მონეტები, რომაული მინის ჭურჭლის ნატეხები და გვიანდ. ანტ. – ადრინდ. შუა საუკ. – ადგილ. და რომაული კერამიკა. გვიანდ. ანტ. ხანაში გ. (ზიგანისი) აფსაროსთან, ფასისთან, სებასტოპოლისთან, პიტიუნტთან და სხვ. ერთად შედიოდა იმ ციხესიმაგრეთა სისტემაში, რ-იც რომის იმპერიის მცირეაზიური პროვინციების მისადგომებს იცავდა. გ-ში იყო VII–X სს-ში ლაზიკის 4 საეპისკოპოსო კათედრიდან ერთ-ერთი (იხ. გუდაყვის საეპისკოპოსო). ფეოდ. ხანაში გ. ოდიშის შემადგენლობაში შედიოდა, XVII ს. მიწურულს კი ახლადშექმნილი ფეოდ. ერთეულის სამურზაყანოს შემადგენლობაში შევიდა. გ-ში დაკრძალულია ქრისტიანობისთვის წამებული კირიაკე, რ-იც დაიღუპა III–IV სს. მიჯნაზე, პირველ ქრისტიანთა დევნის დროს.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 3, თბ., 1966; ზ ა ქ ა რ ა ი ა პ., ლ ე ქ ვ ი ნ ა ძ ე

ვ., გუდავაში 1971 წ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში, კრ.: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, წგ. 3, თბ., 1974; Л о м о у р и Н., Из исторической географии древней Колхиды, «Вестник древней истории », 1957, №4.

თ. ბერაძე

ვ. ლექვინაძე